პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქი ქუთაისი ___ მარტი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 121-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის --- მარტის ----------წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი, VIII ჩიხის დასაწყისში, ნაკვეთი №2/182; მდებარე ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (საკადასტრო კოდი №03.02.26. ---; ფართი- 222 კვ.მ) გასხვისების თაობაზე.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ცნობილია, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე ასლანიკაშვილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია, სკვერი მოიცავდა N03.02.26.489 - (მთლიანად) და N03.02.26.490 - (ნაწილობრივ) საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ ქონებებს (სკვერი). სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელების შედეგად, N03.02.26.490 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულმა ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. განხორციელდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონებების გაერთიანება და შემდგომ გამიჯვნა, ფუნქციური დანიშნულებების გათვალისწინებით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განიხილოს წარმოდგენილი პროექტი, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ N03.03.26.--- (ფართობი - 222კვ.მ) საკადასტრო კოდზე რეგისტრიებული უძრავი ქონების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში მოხდება დამატებით შემოსავლების მობილიზება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსი ბატონი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი